181

ახალი უმაღლესი სასწავლებელი

New Uni

დიდი წარმატება - სწორი არჩევანით იწყება!

181

საკონტაქტო ინფორმაცია:
+995 592 11 11 00
+995 593 55 79 01

ელ-ფოსტა:
INFO@NEWUNI.EDU.GE

მისამართი:
I კორპუსი:
ქ. თბილისი, ჭყონდიდელის ქ. 26;
II კორპუსი:
ქ. თბილისი, მე–3 მასივი, მე–6
კვარტალი, კორპუსი 7ა

სასწავლებლის შესახებ:

2013 წლის **10** ოქტომბერს „ახალ უმაღლეს სასწავლებელს“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს მიერ მიენიჭა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი.

„ახალი უმაღლესი სასწავლებელი“ აბიტურიენტებსა და სტუდენტებს სთავაზობს კვალაფიციური განათლების მიღების შესაძლებლობას საქართველოში, რაც გამოხატულია სასწავლებლის თანამედროვე, ევროპული სტანდარტების შესაბამისი პროგრამებითა და მაღალკვალიფიციური, გამოცდილი აკადემიური და მოწვეული პერსონალით.

„ახალი უმაღლესი სასწავლებელი“ ახორციელებს საბაკალავრო პროგამებს: ბიზნესის ადმინისტრირების, ტურიზმისა და საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით.

"ახალი უმაღლესი სასწავლებლის" რექტორი, სამართლის დოქტორი, პროფესორი - თამარ გარდაფხაძე

New Uni

მიმართვა:

ახალი თანამედროვე უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები, თანამედროვე სწავლების მეთოდი, ყოველმხრივ შესაბამისი გარემო, გამოცდილი აკადემიური პერსონალი … და ყველაფერი ის, რაც დიდი წარმატების საწინდარია – ეს არის ახალი უმაღლესი სასწავლებელი. რამდენიმე წლის განმავლობაში მიმდინარეობდა მუშაობა ახალი უმაღლესი სასწავლებლის გახსნასთან დაკავშირებით. პროცესში ჩართულები იყვნენ უმაღლესი განათლების სფეროში გამოცდილი ადამიანები, საერთაშორისო ექსპერტები და სტუდენტები. ახალი უმაღლესი სასწავლებელი შეიქმნა 2013 წელს სტუდენტებთან ერთად სტუდენტებისთვის. ახალგაზრდებმა ზუსტად იციან რა სჭირდებათ ხარისხიანი განათლების მიღებისათვის, როგორი გარემო დაეხმარებათ სწავლების პროცესში. სწორედ სტუდენტების დიდი წვლილია ჩადებული თანამედროვე ინფრასტრუქტურის და ბედნიერი სტუდენტური ცხოვრებისათვის შესაფერისი გარემოს შექმნაში. ჩვენ მზად ვართ ვიმსჯელოთ თქვენთან, იმის შესახებ თუ როგორ შეუძლია სასწავლებელს უკეთ დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნები და ინტერესები. უმაღლესი განათლების ქართველი და საერთაშორისო ექპერტების ჯგუფის მიერ ახალ უმაღლეს სასწავლებელში სწავლების უახლესი თანამედროვე მეთოდები დაინერგა და საგანმანათლებლო პროგრამები თანამედროვე ევროპული სტანდარტის დაცვით მომზადდა.

დიდი წარმატება - სწორი არჩევანით იწყება!

NEW UNI

"ახალი უმაღლესი სასწავლებლის" ბიზნესის, სამართლისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი, ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი - ივანე სეხნიაშვილი

New Uni

მიმართვა:

Dვირფასო მეგობრებო,

მოგეხსენებათ, რომ ახალი უმაღლესი სასწავლებელი ერთ-ერთი მაღალი რეიტინგის მქონე სასწავლებელია საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში, რომელიც ორიენტირებულია თანამედროვე გამოწვევებზე და ემსახურება კონკურენტუნარიანი პროფესიონალების მომზადებას შრომის ბაზარზე. სასწავლებლის ბიზნესის, სამართლის და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტი ახორციელებს სწავლებას უახლესი დასავლური სტანდარტებისა და ცვალებადი საერთაშორისო შრომითი ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით შემუშავებულ აკრედიტებულ პროგრამებზე. ბიზნესის ადმინისტრირების, ტურიზმის და საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებაზე სწავლის მიზანია მხოლოდ მაღალკვალიფიციური განათლების მიღება, სტუდენტთა მომზადება წარმატებული პროფესიული საქმიანობისთვის. თქვენ ჩვენს სასწავლებელში დაგხვდებათ კომპეტენტური აკადემიური რესურსი და თანამედროვე ინფრასტრუქტურა. ფაკულტეტზე თქვენ გელით საინტერესო და მრავალფეროვანი სტუდენტური ცხოვრება. თუ თქვენ ახალი უმაღლესი სასწავლებლის ბიზნესის, სამართლის და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტზე შეაჩერეთ ყურადღება, მალევე დარწმუნდებით, რომ ამით თქვენი კარიერული ზრდისათვის ყველაზე სწორი გადაწყვეტილება მიიღეთ.

მისია:

ცოდნაზე დაფუძნებული სამოქალაქო საზოგადოების მოთხოვნების შესაბამისი განათლების, უნარ-ჩვევების, დემოკრატიული ღირებულებებისა და მოქალაქეობრივი თვითშეგნების მქონე სპეციალისტების მოამზადება;

სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების, მათი პიროვნული პოტენციალის რეალიზების, შემოქმედებითი და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობა;

ცვალებადი საზოგადოებრივი და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შეთავაზება და კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, მათი შემდგომი დასაქმების მიზნით;

სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობის ხელშეწყობა;

საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში, სტუდენტისათვის დარგის ხარისხიანი ცოდნის მიწოდება და საბაზისო კვლევითი უნარების გამომუშავება, რაც უზრუნველყოფს შემდგომ საგანმანათლებლო საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას.

ხედვა:

„ახალი უმაღლესი სასწავლებლის“ ხედვაა, თავის დამკვიდრება ეროვნულ საგანმანათლებლო სივრცეში, როგორც ხარისხიანი, სტუდენტზე ორიენტირებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც თავის მხრივ მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ქვეყნის განვითარებასა და წინსვლაში, რისთვისაც საკუთარი ინფრასტრუქტურული და ადამიანური რესურსით მოამზადებს კვალიფიციურ, კონკურენტუნარიან კადრებს და ხელს შეუწყობს მათი შესაძლებლობების რეალიზებას. „ახალი უმაღლესი სასწავლებლის“ ხედვის მიხედვით, სასწავლებელი განვითარების პარალელურად აიმაღლებს და ყოველწლიურად გააუმჯობესებს შიდა სწავლების ხარიხს, ხოლო აქტიური ადგილობრივი და საერთაშორისო დონეზე თანამშრომლობისა და მუშაობის პარალელურად თავს დაიმკვიდრებს და გახდება, საგანმანათლებლო სივრცეში აღიარებული უმაღლესი სასწავლებელი.

NEW
UNI

ღირებულებები:

- კეთილსინდისიერება;
- განვითარებისკენ სწრაფვა;
- აკადემიური თავისუფლება;
- გამჭირვალობა;
- სტუდენტთა განვითარების მხარდაჭერა;
- სამართლიანობა და თანასწორუფლებიანობა.

მიზნები:

- სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის საერთაშორისო მობილობის ხელშეწყობა;
- უმაღლესი განათლების მქონე პირთა შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა;
- თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე პირების მომზადება;
- სტუდენტების შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობა;
- პიროვნული პოტენციალის რეალიზების ხელშეწყობა.

ბიზნესის ადმინისტრირება

BUSINESS ADMINISTRATION

პროგრამის ხელმძღვანელი: ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი, **მანანა ნანიტაშვილი**

უმაღლესი განათლების საფეხური:
I საფეხური, ბაკალავრიატი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია:
ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ბიზნესის ადმინისტრირებაში (BACHELOR OF BUSINESS ADMINISTRATION)

პროგრამის მოცულობა (ECTS): 240 ECTS (8 სემესტრი. ერთი სემესტრი მოიცავს 20 კვირას. ერთი აკადემიური წელი 2–სემესტრიანია და მოიცავს საშუალოდ 60 ECTS კრედიტს.

"ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამის მიზანია:

საბაკალავრო პროგრამის მიზანია ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე ისეთი კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება, რომელთა ზოგადი (ტრანსფერული) და დარგობრივი კომპეტენციები შეესაბამება შრომის ბაზარზე არსებულ და უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა აღმწერით გათვალისწინებულ ბაკალავრისადმი წაყენებულ მოთხოვნებს, იცნობენ მართვის ძირითად პრინციპებს და მეთოდებს, ბიზნესის ფუნქციონალურ სფეროებს, შეუძლიათ ბიზნეს-სექტორში პირადი ინიციატივების გამოვლენა, კრიტიკული ანალიზის საფუძველზე კომპლექსური საკითხების შემოქმედებითად გადაწყვეტა, ბიზნეს-გარემოში მიმდინარე ცვლილებების ადეკვატური აღქმა, სწრაფი ადაპტირება, პრაქტიკულ საქმიანობაში თავისი კომპეტენციების რეალიზება, კარიერული წინსვლა და კვალიფიკაციის შემდგომი ამაღლება, წვლილის შეტანა ეროვნული ეკონომიკის განვითარებაში და მულტიკულტურულ გარემოში ურთიერთსარგებლიანობის პრინციპების დაცვა.

NEW UNI

ტურიზმი

Tourism

პროგრამის ხელმძღვანელი: ბიზნესის ადმინისტრირების აკადემიური დოქტორი, პროფესორი **მანანა ალადაშვილი**

უმაღლესი განათლების საფეხური:
I საფეხური, ბაკალავრიატი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია:
ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ტურიზმში (BACHELOR OF BUSINESS ADMINISTRATION IN TOURISM)

პროგრამის მოცულობა (ECTS): 240 ECTS (8 სემესტრი. ერთი სემესტრი მოიცავს 20 კვირას. ერთი აკადემიური
წელი 2–სემესტრიანია და მოიცავს საშუალოდ 60 ECTS კრედიტს.

”ტურიზმის” საბაკალავრო პროგრამის მიზანია

1 8 1

საქართველოს და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნების და საქართველოს ეკონომიკაში ტურიზმის გაზრდილი როლის შესაბამისად მომზადდეს ბიზნესის ადმინისტრირების კონკურენტუნარიანი ბაკალავრი ტურიზმის სფეროში, რომელიც აცნობიერებს ტურიზმის როლს ქვეყნის განვითარებაში; აქვს თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები ტურიზმის ბიზნესში; აფასებს და იყენებს საქართველოს ტურისტულ რესურსებს თანამედროვე ტურისტული პროდუქტის ფორმირების პროცესში; აანალიზებს და აფასებს საქართველოს ტურისტულ-რეკრეაციულ პოტენციალს; ახორციელებს ტურისტულ პროექტებს; აქვს ტურისტულ ორგანიზაციებში მიმდინარე ბიზნეს - პროცესების ეფექტიანი ადმინისტრირებისა და ტურისტულ ბიზნეს გარემოში მიმდინარე პროცესებისადმი ადაპტირების უნარ-ჩვევები, იცავს პროფესიული ეთიკის ნორმებს, ეროვნულ ტრადიციებსა და ღირებულებებს.

NEW UNI

საერთაშორისო ურთიერთობები

International Relations

პროგრამის ხელმძღვანელი:
პოლიტიკის დოქტორი, პროფესორი **ქეთევან ჯიჯეიშვილი.**

უმაღლესი განათლების საფეხური:
I საფეხური, ბაკალავრიატი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია:
ბაკალავრის აკადემიური ხარისხი საერთაშორისო ურთიერთობებში / BACHELOR OF SOCIAL SCIENCES IN INTERNATIONAL RELATIONS

პროგრამის მოცულობა (ECTS): 240 ECTS (8 სემესტრი. ერთი სემესტრი მოიცავს 20 კვირას. ერთი აკადემიური
წელი 2–სემესტრიანია და მოიცავს საშუალოდ 60 ECTS კრედიტს.

"საერთაშორისო ურთიერთობის" საბაკალავრო პროგრამის მიზანია:

საბაკალავრო პროგრამის მიზანია საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება, რომელთა კომპეტენციები შეესაბამება შრომის ბაზარზე არსებულ მოთხოვნებს და შეუძლიათ წვლილის შეტანა საქართველოს დასავლეთთან ინტეგრაციის გზაზე; შეასწავლოს საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში არსებული ძირითადი ტენდენციები და მიდგომები; მისცეს მათ საფუძვლიანი ცოდნა საერთაშორისო უსაფრთხოების, პოლიტიკური და დიპლომატიური ურთიერთობებისა და თანამედროვე პოლიტიკური პროცესების შესახებ; გააცნოს საერთაშორისო ურთიერთობების განვითარების პოლიტიკური, სამართალებრივი, ისტორიული და ეკონომიკური ასპექტები; გამოუმუშავოს თანამედროვე საერთაშორისოურთიერთობებში არსებული პრობლემებისა და გამოწვევების გააზრების, განზოგადების, საკითხის დასმისა და ამ პრობლემებისადმი თეორიული ცოდნის მისადაგების, მულტიკულტურულ გარემოში ურთიერთპატივისცემის და ეთიკურ-მორალური პრინციპების დაცვის უნარი.

NEW UNI

"ახალ უმაღლეს სასწავლებელში" თქვენ გელით:

- მყუდრო და კეთილგანწყობილი გარემო;
- უახლესი ტექნიკით აღჭურვილი თანამედროვე ინფრასტრუქტურა;
- მაღალკვალიფიციური აკადემიური და მოწვეული პერსონალი;
- მრავალფეროვანი სტუდენტური ცხოვრება;
- დასაქმების მაღალი მაჩვენებელი;
- საინტერესო სტუდენტური პროექტები;
- ყოველწლიური სტუდენტური კონფერენციები;
- საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები.

NEW HIGHER EDUCATION INSTITUTE

5 year

New Uni

პარტნიორი კომპანიები / უნივერსიტეტები

Partner Companies / Universities

Radisson BLU

SPOŁECZNA AKADEMIA NAUK
UNIVERSITY OF SOCIAL SCIENCES

ARC
გამოყენებითი კვლევების კომპანია

uclan

UNIVERSITY
OF ECONOMICS AND HUMAN SCIENCES
IN WARSAW

UCSS
University College of Social Sciences

Erasmus+

GOODWILL

NEW UNI

დიდი წარმატება - სწორი არჩევანით იწყება!

მისამართი:
I კორპუსი:
ქ. თბილისი, ჭყონდიდელის ქ. 26;

II კორპუსი:
ქ. თბილისი, მე-3 მასივი, მე-6 კვარტალი, კორპუსი 7ა

newuni.edu.ge

საკონტაქტო ინფორმაცია:
+995 592 11 11 00 ; +995 593 55 79 01